ლიტერატურული

№1, 2017

ლინა ბარათაშვილი

მტერი ვეღარ მოგვერევა

სამი ჩოხა ელოდებათ,
სამი ცხენი დარახტული,
ამ ოჯახში სამი ძმაა
უფლის ხელით დახატული.

სამი ბიჭი, თვალმახარა,
სამი ნორჩი ბოკვერია
და სამივე – ოჯახისთვის –
სიყვარულის მორევია.

გურამიკოს, კახს, ნიკოლოზს
სამების დაჰყვებათ მადლი,
ამ პატარა ბიჭუკელებს
უკვე შვენით ფარი, ხმალი...

მამა ამბობს: საქართველოს
სულ სჭირდება მოფერება,
თუ გავმრავლდით ქართველები,
მტერი ვეღარ მოგვერევა.

მხატვარი
მანანა მორჩილაძე

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ყოყლიყო

ვიდრე გიორგი სკოლაში წავიდოდა, თალიკო ბებიამ საუზმე მოუმზადა: თხლად დაჭრილი პური ათქვეფილ კვერცხში ამოავლო, გახურებულ ტაფაზე დააწყო და ყიყლიყოები ააშიშხინა.

გიორგი მაგიდას მიუჯდა. ბებიამ წითელ-ყვითლად დაბრაწული რამდენიმე ყიყლიყო გადაუღო და თქვა:

– პატარა რომ ვიყავი, ძალიან მიყვარდა ყიყლიყოების ჭამა. აბა, ნახე, რა გემრიელია!

გიორგიმ ერთი ყიყლიყო ჩანგლით დაითრია, გემო გაუსინჯა, მოეწონა, მეორე ყიყლიყოც მიაყოლა და გაიფიქრა:

– სკოლიდან რომ დავბრუნდები, მაკას ყიყლიყოებზე მოვიპატიჟებო. ფეხზე წამოხტა. წიგნების ჩანთას ხელი დაავლო და სკოლისკენ აჩქარდა. იცოდა, თანაკლასელი მაკა თავის სახლთან ელოდა, რომ იქიდან ერთად გასდგომოდნენ გზას.

გიორგიმ მაკას სახლს მიაღწია, მაგრამ იქ არავინ დახვდა – მარტო ეზოს კართან ღობეზე შეფრენილი თეთრი მამალი გაჯგიმულიყო, ხერხივით წითელი ბიბილო ქუდივით გვერდზე მოექცია და ომახიან „ყიყლიყოს“ გაიძახოდა.

მაკა არ ჩანდა.

ბიჭმა ფეხის წვერებზე აიწია და ეზოში გადაიხედა.

– როგორც კი გამოჩნდება, მაკას მაშინვე ვეტყვი, რომ დღეს ყიყლიყოებზე ვეპატიჟები! – ფიქრობდა გიორგი და თვალები მაკაანთ სახლისკენ აწყდებოდა.

– იქნებ, უჩემოდ წავიდა სკოლაში. მოდი, ერთს შევეხმიანებიო, თქვა ბიჭმა და უცებ „მაკას“ ნაცვლად „ყოყლიყო“ არ დაიძახა?!

ღობეზე შეფრენილ თეთრ მამალს ეგონა, „ყიყლიყოს“ ძახილში ბიჭი მე მაჯავრებსო, ერთი აიფხორა, დაიქოთქოთა და ფრთების ფართხუნით ღობიდან პირდაპირ გიორგის კისერზე დაეშვა.

– ვაიმე, მიშველეთ! – იყვირა ბიჭმა და მაკაანთ ეზოში შევარდა, თან ფრთებგაჩაჩხული, გაავებული მამალი შეჰყვა.

– აქშა, აქშა! – მოისმა ხმა და სახლიდან კალიასავით გამოხტა მაკა. იქვე, კედელთან მიყუდებული ჯოხი აიღო და მამალს მოუღერა.

მამალმა გიორგის თავი გაანება, კრიახ-კრიახით გაიქცა და ისევ ღობეზე შეხტა.

– ხომ არ დაგკორტნა მაგ ტიალმა? – ჰკითხა მაკამ ბიჭს და მხრებზე ხელი გადაუსვა, მამლის ნაფეხურები მოაცილა.

– არა, გადავრჩი! – თქვა ღიმილით ბიჭმა, ზურგზე წიგნების ჩანთა გაისწორა, მაკას გვერდში ამოუდგა და უთხრა:

– დღეს სახლში გეპატიჟები, ბებია თალიკო ყიყლიყოებს მოგვიმზადებს და გემო გავუსინჯოთო.

ბავშვები სკოლისკენ გაუდგნენ გზას.

– ყიყლიყოო! – ომახიანი ყივილით მიაცილებდა ღობეზე შეფრენილი თეთრი მამალი.

მხატვარი
მირიან ჭანკვეტაძე

ლალი ჯაფარაშვილი

ისზე ჯავრობს ზღაპრის პაპა

საზღაპრეთის
ქვეყანაში, –
ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით,
ჯადოსნური
თეთრი რაშით
ზღაპრისათვის გადავფრინდი, –
კუდიანებს
ატყუებდა
ცეროდენა, ერთი ციდა,
ბაყბაყდევი
ბანზე თვლემდა,
კომბლე ისევ კომბლებს თლიდა...
არემარე
წალკოტს ჰგავდა –
მოლს ამკობდა ნამის ღილი...
ეგ არის, რომ ზღაპრის პაპა
დამხვდა ძლიერ მოწყენილი!
– ვისზე ჯავრობს? –
რომ ვიკითხე,
კოკროჭინამ ჩამჩურჩულა:
ბავშვებზეო,
წიგნს არ შლიან,
ეკრანის წინ სხედან სულა!
რა ფურცელი
დაიტევდა
იმდენ გვარს და იმდენ სახელს!..
თანაც ყველა
თქვენთაგანის
მისამართიც მიკარნახეს,
რომ გაცნობოთ
სიტყვასიტყვით:
გიგი, გულდა, თიკა, ოთო...
საზღაპრეთის
ხილვა თუ გსურთ,
წიგნი უნდა იკითხოთო!

მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

რითმიანი სტრიქონები პატარებისთვის

ზოია ვაშაკიძე

***

აღარ მოგთხოვ შოკოლადის ფილას,
ოღონდ, დედა, შევიძინოთ „დილა“.

***

რა ხანია გელოდები, ფიფქო,
გთხოვ, აქ მოსვლა
არ გადაიფიქრო.

***

ხელს ნუ მიშლი ქარო,
ბაღის მოვლას ვსწავლობ.

***

ჩემს თოჯინას პერანგს,
თავად მე ვუკერავ.

***

მსურს გახარო, ბებო –
ვსწავლობ სანაქებოდ.
ცავ, არ მოიღრუბლო,
მსურს, მზეს ვესაუბრო.

***

მიყვარს თოვლზე ულევი,
ჩიტის ნაფეხურები...



სიტყვებიც ზარდახშაში

ამ ზარდახშაში ძველი ქართული სიტყვა იმალება. ამოხსენი კროსვორდი, ისრით მინიშნებულ მწკრივში ამოიკითხე ეს სიტყვა და გაიგებ, რას ეძახდნენ ძველად თოხლოდ შემწვარ კვერცხს.



1. „სავარცხლიანი“ ფრინველი;
2. ის ხან ბადრია, ხანაც – ნამგალა;
3. მოხტუნავე მწერი;
4. ჰიგიენური საშუალება;
5. 60 წუთი – 1 . . . . .?
6. მუხის ნაყოფი;
7. მავნე მღრღნელი;
8. ვარდის „მცველი“;
9. რძის პროდუქტი.

შეადგინა
ნინი ორველმა

გივი ჩიღვინაძე

ბუძას კურდღლები

იმ ზამთარს ჩვენს სოფელში ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. ხალხს საქმე შემოელია, დაიწყო ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და მხიარული საუბრები. თუმცა ჩვენებურები მთისა და ტყის გარეშე როგორ გაძლებდნენ? ერთ დღესაც ჩვენმა მეზობელმა ბუძამ ხარები მარხილში შეაბა და მაღლა მთისაკენ გაემართა თივის ჩამოსატანად. თვით ჩვენი სოფელიც მთაშია, მაღლა მთას კი ალპური სათიბებით დამშვენებულ ქედს ვეძახით.

– ორი ზვინი დამრჩა იქ, ველარ მოვასწარი ჩამოტანა, მერე გზები ისე გააფუჭა შემოდგომის წვიმებმა, ურემი ვერ გაივლიდა, ახლა მარხილით უნდა ჩამოვიტანოო, – უთქვამს ბუძას.

თივა ზამთარში მოაქვთო? გაიკვირვებთ თქვენ. მართლაც საკვირველია, თანაც იმ სიშორეს წასვლა თოვლიანი გზით.

ძნელია გაუკვალავ გზაზე სიარული. განთიადისას წასული ბუძა შუადღემდე ძლივს ასულა მთაში. თანაც მთელი დღე თოვდა და მაღლა მთაზე ხომ უფრო დიდი თოვლი იდო. მისულა დათოვლილ ზვინებთან, მოუცლია თოვლი ერთი ზვინისთვის, ჯერ ხარებისათვის დაუყრია თივა, მერე კი მარხილზე დაუწყია დადება.

ჰოდა, უცებ გამომხტარან ზვინიდან კურდღლები და შემოხვევიან ბუძას.

– რას გვიშვრები, სად მიგაქვს ეს თივაო, ჩვენ რაღა გვეშველება ამ ზამთარში, ჩვენი თავშესაფარიც ეს არის და საკვებიცო.

დაუღრენია პატრონის უკან მდგარ ნაგაზს. კურდღლები აკანკალებულან მის დანახვაზე, მაგრამ ბუძას დაუტუქსავს მურია, მხრიდან თოფი მოუხსნია, მარხილზე დაუდვია და ძაღლისთვის უთქვამს: მაგას მიხედე შენო. მერე შეცბუნებულ კურდღლებს ღიმილით მიბრუნებია.

– თივა ჩემია და უნდა წავიღო. მე მოვთიბე, მოვაგროვე და დავზვინე, თქვენ რა უფლებით ითვისებთო?

– ვიცით, რომ შენია, ზაფხულში ხანდახან ბუჩქებიდან გხედავდით, როგორ თიბავდი და აგროვებდიო, – უთქვამს დედა კურდღელს: – მაგრამ ზამთარში რომ აქ დარჩენილი დავინახეთ ეს ზვინები, ბინის ძებნაზე აღარ გვიზრუნია. ახლა შენ რომ ეს თივა წაიღო, რაღა გვეშველება? უმადურები კი არ გეგონოთ – სულ შენს ქებაში ვართო.

კურდღლების ლაპარაკი ვის გაუგონიაო, გაგეცინებათ თქვენ, მაგრამ ბუძა ასე ამბობს, მელაპარაკნენო.

სულ ხუთი კურდღელი ყოფილა: დედა კურდღელი, მამა კურდღელი და სამიც მოზრდილი ბაჭია.

– კარგი ერთი, თქვენ თოვლშიც კარგად იკეთებთ ბინას, სიცივე ვერაფერს გაკლებთო, – უთქვამს ბუძას.

– ჰო, მაგრამ სად თოვლში ცხოვრება და სად ზვინში? თანაც, თუ გაჭირდა, საკვებადაც გამოვიყენებთ ამ თივასო.

– მეორე ზვინსაც არ მატანთო? – იქვე მდგარი მეორე ზვინისკენ გაუხედავს ბუძას.

– მეორე წაიღე, მაგაში ვინ შეგეცილებაო? – უთქვამთ კურდღლებს.

შესცოდებია ბუძას კურდღლები, აუღია თივის ნაწილი ზვინიდან, მარხილზე დაუდვია, გზაში ხარებს რომ ვაჭამოო, მერე შეუბულულებია ისევ და მომზადებულა წამოსასვლელად.

– გვიტოვებ ამ ზვინსო? – შესციცინებდნენ თურმე კურდღლები.

– აბა, რას ვშვრები? ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთო: – გაღიმებია ბუძას, თან დაუმატებია, – ამასაც გიტოვებთ და მეორესაც, მარტო ერთი რა წასაღებია? ხომ დაინახეთ, ცოტა მოვაკელი, ერთ ჯერზე რომ ჭამონ ხარებმა, ცოტაც გზისთვის მიმაქვს, დანარჩენი კი თქვენი იყოსო.

გახარებიათ ძალიან კურდღლებს. გახალისებულებს ცეკვა-თამაში გაუმართავთ. იმათ ყურებას არაფერი სჯობდაო, ამბობდა ბუძა. ჩემი ნიშა და ლამაზაც კი გამიმხიარულეს, თითქოს გაღიმებული უყურებდნენ, მხოლოდ მურია იღრინებოდა, მაგრამ ვაწყნარებდიო.

უცქერია ბუძას თოვლში გახვეული მთებისთვის კარგა ხანს, მერე გაუშლია საგზა-

ლი, მიუწვევია კურდღლები, ძაღლისთვის მარხილის მეორე მხარეს მიუწვდია საჭმელი, ბოლოს შეუბამს ხარები მარხილში, კიდევ ერთხელ მოუვლია თვალი თოვლიანი მთებისთვის და წამოსულა შინ. კურდღლებს კარგა მანძილზე გამოუცილებიათ და მერე მასაც და მის ხარებსაც სიყვარულით დამშვიდობებიან, ძაღლთან კი უბრად დარჩენილან ბოლომდე.

ჰოდა, საღამოს ჩვენმა ბუძამ თივის მაგიერ შეშა ჩამოიტანა სოფელში. ხელცარიელი ხომ არ დაბრუნდებოდა? ტყეში რომ ჩამოსულა, ზეხმელი წიფელი მოუჭრია და იმით გაუვსია მარხილი. ზეხმელს, იცით, რას ეძახიან? – ზეზეულად გამხმარი ხეა, საუკეთესო შეშად მიაჩნიათ.

მეზობლებს კი მოკლედ უთხრა:

– კურდღლებს დაუბინავებიათ ჩემს ზვინებში და იმათ დავუტოვე თივა. თუმცა მაინც კარგია, რომ ავედი, იმ უკაცრიელი, თოვლიანი მთის სილამაზე ვიხილე ამ შუა ზამთარში. იმაზე უკეთესს ვერაფერს ნახავს კაცის თვალიო.

– რაო, რაო? – იცინოდნენ გაკვირვებული მეზობლები, არ დაუჯერეს ეს ამბავი. – ალბათ, მოიპარა ვინმე უკეთურმა შენი თივაო.

მაგრამ მალე გაირკვა სიმართლე. რამდენიმე დღის შემდეგ მაღალი მთის იქითა მხარეს მდებარე მონასტრიდან გადმოსულმა ბერებმა დაადასტურეს:

– ბუძას ზვინები იქა დგასო.

როგორც ჩანდა, მართლა ნახა კურდღლები ბუძამ ზვინებში და არ მოუშალა ბინა. მათთან ლაპარაკი, მათი ცეკვა-თამაში და სიყვარულით დამშვიდობება კი, ალბათ, მისი მონაგონი იყო.

მიეცა ზოგიერთ მეზობელს სალაპარაკო, დაუწყეს დაცინვა ბუძას:

– რას გედარდებოდა ის კურდღლებიო? – ეუბნებოდა ერთი.

– რას შვრები, აღარ მიდიხარ შენი კურდღლების სანახავადო? – ეკითხებოდა მეორე.

– საბძელი ისევ სავსე გაქვს, შენს კურდღლებს კი თივა გამოლევიათ, იქნებ, აუტანო ცოტაო, – ენას იქავებდა მესამე.

თუმცა დასაცინი რა ჰქონდა ჩვენს ბუძას? ხომ ყველამ ვიცით, რომ კაცი ამქვეყნად სიკეთით ფასდება.

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

მხიარული

ლელა ცუცქირიძე

განგაში

– იცით, წუხელ რა მოხდა?
ყველგან ატყდა განგაში:
ზოოპარკში, პარკებში,
სოფელსა თუ ქალაქში...

ათ მანქანა სახანძროს
დაუძახეს სასწრაფოდ!
სირენებით გარბოდა
პოლიცია, სასწრაფო...

– რატომ?!
– სპლიყვი ტიროდა,
ეგ ურჩი და ზარმაცი!
დედა თურმე ხორთუმით
ბანდა აბაზანაში.

ნათია ჯანაშია

მეზობლობა

მთელი ღამე კუ კურამ
ტელევიზორს უყურა.

თავს ვეღარ სწევს ბაკანში,
გაუშეშდა კისერი,
დათუნიამ მიართვა
თაფლიანი კისელი.

ციყვმა კაშნე აჩუქა, –
სითბო გეამებაო,
დიდხანს ვქსოვდი, შენთვის კი
განა მენანებაო?

დასიებულ თვალებზე
სალბუნს ადებს მელია.
ერთმანეთზე ზრუნვა ხომ
არც ისეთი ძნელია?!

კურას მადა მოჰგვარა
ბუს დამცხვარმა ბლინებმა,
ღამეს ისევ გაათევს
მეზობლების იმედად.

მხატვარი
თეა მიქაია

ლექსები

ეკატერინე ქარჩავა

ფისო

ეს ფუმფულა ფისო
ვის უყურებს, ვისო?
აცმაცუნებს მთელ დღეს
ეშმაკურად პირსო.

დაინახა რძის ქილა,
ახტა – ბებომ იკივლა –
თუმც ვერ მისწვდა საწადელს
და თათები იტკინა.

ბაჭია

მინდვრად დახტის ბაჭია,
თეთრია და პრანჭია,
უცებ გადაეყარა
მაიმუნი მანჭია.

შიშისაგან ბაჭიამ
ორი ყური აწია,
უკანმოუხედავად
სოროსაკენ გასწია.

ქეთი კვიტატიანი

ჩას ჩუჩულებენ ფიფქები...

მე ფიფქი ვარ ერთი ციცქნა,
ხმაც არ ისმის არსად ჩემი,
მოვფარფატებ და მიწაზე,
ალბათ, მალე დავეცემი.
თითქოს ქარი გამებუტა,
შორს დაქრის და მე გვერდს მიქცევს,
მინდა, ძლიერ დაუბეროს
და ნამქერად გადავიქცე.
მერე თოვლად, მერე გუნდად
და მიწიდან ისევ ცამდე
ამისვრიან, დამიჭერენ...
გავერთობი დათბობამდე.
გაზაფხულზე მზის სხივის ქვეშ
წყლად ვიქცევი, ვდნები, ვთბები...
და ზამთარში, როცა ცივა,
ისევ ფიფქად ვიბადები.

გიორგი ჟღენტი

ყველაზე ჰაცარა ამბავი სიყვარულზე

სკოლაში, ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე, ბუნებაში წყლის წრებრუნვის პროცესს გვიხსნიდა მასწავლებელი. გაკვეთილის შემდეგ დავფიქრდი და აი, რა მოვიფიქრე:

დედას უყვარს მამა,
მამას ვუყვარვარ მე,
მე მიყვარს დედა.
ჰოდა, გამოვიდა
სიყვარულის
წრებრუნვა
ჩვენს ოჯახში?!



ლია კობალაძე

აბა, გამოიცანი

***

ცა ქუდად არ მიაჩნია
და ქალამნად მიწა,
დაყივლებით თავს იწონებს,
ყინჩი . . . . . .

***

ერთგულებით იცნობს ყველა,
დარაჯობს და იცავს კერას,
ღრენია და ჰამჰამელა,
ვინ ბრძანდება? . . . . . .

***

წყნარი, მუდამ მორჩილი,
ყველამ ვიცით, ვინც არის,
ვის ვეძახით ბოჩოლას?
აბა, გამოიცანი?
. . .

***

ყურპარტყუნას, ყროყინას
ღონე გასაკვირი აქვს,
ჯიქური და ჯიუტი,
რა თქმა უნდა, ...

მხატვარი
იულია
ნიკოგოსოვა

ბესიკ კეკელიძე

ძღისჭიჩკელი

ცხოვრობდა თბილისში ერთი პატარა ბიჭი, კონსტანტინე. მოფერებით კოსტას ეძახდნენ. ის იყო, პირველ კლასს ამთავრებდა, მშობლებმა სკოლაში კალათბურთის წრეზე შეიყვანეს.

ალეკო მასწავლებლის ხელმძღვანელობით კოსტა კალათბურთის შესწავლას მთელი გულისყურით მოეკიდა. სკოლიდან დაბრუნებული საშინაო დავალებას მოათავებდა თუ არა, დედიკო სპორტულ ფორმაში გამოაწყობდა და კალათბურთზე მიჰყავდა. ჯგუფში ყველაზე უმცროსი იყო, ამიტომ თანაგუნდელები დიდი სიყვარულით ექცეოდნენ.

მარტო მწვრთნელი კი არა, ყველა რაღაცას ასწავლიდა: ზოგი ბურთის ტარებაში ავარჯიშებდა, ზოგი ტყორცნების დახვეწაში ეხმარებოდა. საწვრთნელი თამაშისას კოსტას წინააღმდეგობას არავინ უწევდა – ბიჭს თავისუფალ სივრცეებს განგებ უქმნიდნენ, მეტი თავდაჯერებულობა რომ მისცემოდა.

ბავშვი თანაგუნდელებს შეეჩვია – მათ უკვე უფროს მეგობრებად თვლიდა. ვარჯიშიდან სახლში დაბრუნებული მშობლებს გატაცებით უყვებოდა, ვინ რა ასწავლა, ვინ როგორ დაეხმარა, თამაშისას რამდენი ქულა დააგროვა, რამდენი შექება დაიმსახურა და ასე, გაუთავებლად შეეძლო მოეყოლა თავის მწვრთნელსა და თანაგუნდელებზე.

საღამოს დედიკო აჭყუმპალავებდა, პიჟამას ჩააცმევდა და საწოლში ჩააწვენდა. ბავშვი ისე არ დაიძინებდა, დედა ზღაპარს თუ არ მოუყვებოდა. საწოლში გასუსული ჩათვლემდა და ზღაპრის იდუმალებაში ჩაფლული ღრმად იძინებდა.

მოახლოვდა ზაფხულის არდადეგები. ალეკო მასწავლებელმა კონსტანტინეს მშობლებს ბავშვის საზაფხულო შეკრებაში მონაწილეობა შესთავაზა – გუნდი ქობულეთში აპირებდა გამგზავრებას. დიდი ჭოჭმანის შემდეგ ოჯახი დათანხმდა. მამამ მობილური ტელეფონიც უყიდა, რათა შვილთან მუდმივი კავშირი ჰქონოდა, დედამ კი ალეკო მასწავლებელი და თანაგუნდელები მოინახულა და გადაწყდა, რომ კოსტასთან ერთად ოთახში იქნებოდა მეშვიდეკლასელი სოსო, რომელსაც ზღაპრების რამდენიმე წიგნი ჩააბარეს: მას საღამოს ათ საათზე, ძილის წინ, ერთი ზღაპარი უნდა წაეკითხა უმცროსი თანაგუნდელისთვის, რათა პატარას მშვიდად დასძინებოდა.

დადგა გამგზავრების დღე. მშობლებმა კონსტანტინე რკინიგზის სადგურში მიიყვანეს და მწვრთნელს ჩააბარეს. როდესაც ქობულეთში ჩავიდნენ, ალეკომ გუნდი სასტუმროში მიიყვანა და ბავშვები ნომრებში გადაანაწილა. რასაკვირველია, კონსტანტინე და სოსო ერთ ოთახში მოხვდნენ. სოსო უმცროს თანაგუნდელს ტანსაცმლის კარადაში დაბინავებაში დაეხმარა, ზღაპრების წიგნები კი საწოლის გვერდით, ტუმბოზე დაუწყო. შემდეგ მთელი გუნდი სასადილოში შეიკრიბა. ნამგზავრებმა გემრიელად ისადილეს და მწვრთნელის მეთვალყურეობით ზღვის ნაპირზე გაისეირნეს. ზოგმა ბადმინტონი ითამაშა, ზოგმა – ფრენბურთი, კოსტა კი ნაპირზე იჯდა და ზღვას გაჰყურებდა – პირველად ხედავდა წყლის ამხელა მასას და გაოცებული მისჩერებოდა ჰორიზონტს.

ვახშმის შემდეგ ბავშვები სასტუმროს ჰოლში აჟრიამულდნენ. ზოგი მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდა, ზოგი ტელევიზორს უყურებდა, ზოგიც მობილურით ერთობოდა.

თერთმეტი იყო დაწყებული, როდესაც მწვრთნელმა ბავშვებში კონსტანტინე მოისაკლისა.

– კოსტა სად არის? – შეშფოთდა ალეკო.

– ჩვენთან ერთად იყო, მასწ, – მიუგეს ბიჭებმა.

– სოსო, კოსტა ხომ შენ ჩაგაბარეთ?! – უსაყვედურა ალეკომ, თუმცა სიტყვა აღარ გაუგრძელებია – ყველამ პატარა თანაგუნდელის ძებნა დაიწყო.

გაირკვა, რომ ბიჭი სასტუმროდან არ გასულა, მის ოთახს მიაშურეს. ალეკომ კარი გააღო და ნომერში შევიდა. ბავშვები უკან მიჰყვნენ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კონსტანტინე ლოგინში ჩაწოლილი დაინახეს. ბიჭი ღრმა ძილს მისცემოდა, ყურზე მიბჯენილი მობილური ხელში შერჩენოდა.

ალეკომ ფრთხილად ამოაცალა ტელეფონი, რომლიდანაც ქალის ხმა ისმოდა: „ამის შემდეგ დევები გადაიხვეწნენ და ნაცარქექია მათ სასახლეს დაეპატრონა, დედიკოც თან წაიყვანა და ცხოვრობდა ასე ბედნიერად. ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა...“ – კოსტას დედამ ზღაპარი დაასრულა.

– ქალბატონო, კოსტას უკვე სძინავს, – ჩუმად მიუგო მწვრთნელმა და ბავშვებს ანიშნა, ნუ იხმაურებთ, თქვენს ოთახებში წადითო, თავად მობილური გამორთო, საწოლის გვერდით, ტუმბოზე დადო, ბიჭს გადასაფარებელი გაუსწორა, თავზე ხელი გადაუსვა და ოთახიდან გავიდა.

მხატვარი
მანანა მორჩილაძე

შეადგინა
ნინი ორველმა

							★	★	★			
					20	:	4	=				
				9	+	12	—	7	=			
			12	+	2	—	9	+	0	=		
		15	—	10	=		★	13	—	7	=	
17	+	3	—	5	=		★	5	x	4	=	
5	+	4	—	2	=		★	20	—	3	=	

ამოხსენი მაგალითები, შეადარე ერთმანეთს მიღებული პასუხები და პირამიდის ზედა უჯრაში ჩაწერე ის ციფრი, რომელიც ყველაზე ხშირად გამეორდება პასუხში.

მათემატიკური პირამიდა

ნინო მზესელი

ფერია დილანა და ბავშვები

ერთ მშვენიერ დღეს გრძელი წამწამები ააფახულა, მთქნარებ-მთქნარებით გაიზმორა, ფრთები შეაფრთხიალა... მოკლედ, ფერია დილანამ გამოიღვიძა და ბავშვებისთვის ჯერ არ-ნახული ზღაპრული კარიბჭის გახსნა გადაწყვიტა. ჰოდა, ახალი ტრადიციაც დაამკვიდრა:

ყოველთვის, როცა ცაზე ბადრი მთვარეა, სამზევეთის ტყის ბინადრები აგიზგიზებული კოცონის გარშემო იკრიბებიან და ერთმანეთზე საინტერესო, ზღაპრებად ქცეულ ამბებს ჰყებიან. მიაყურადეთ, აი, ხომ გესმით, როგორი როხროხა ხმით ხითხითებს დათვი?!

– უეჭველია, რაღაცის მოყოლას აპირებს, – გულში გაივლო დილანამ. მართლაც, დათვმა ერთი ალმაცერად გახედა პირდაპირ მჯდომ თაგვს და მოხსნა გუდას პირი:

– შარშან, დღეის სწორს, სათაგვეთში ჩოჩქოლი ატყდა – ხაფანგი დაგვიგესო, ხმა გავარდა...

„ნეტავ, ეგ რა არის? სად არის? როგორია? რამსიგრძეა ან რა ფერია? აუცილებლად უნდა მოვძებნო, ჩემი თვალით უნდა ვნახო, ერთი, რომელია?“ – წრიპინ-წრიპინით გულზე მჯიღი შემოიკრა და ულვაშები აცმაცუნა ცნობისმოყვარე წრუწუნამ, რომელიც ჯერ ყველის ნასვრეტისოდენაც არ იყო. ბევრი აღარ უფიქრია, წნელი მოიმარჯვა, ჰაერში ფიგურები ოსტატურად მოხაზა – დაშნად გამომადგებაო, მხიარულად ჩაიწრიპინა და რადგან ფარიც უნდოდა, მეორე თათით კაკლის უღელს დასწვდა.

შეიარაღებული წრუწუნა ურჩხულ ხაფანგთან შესაბმელად მზად იყო, ამიტომაც გზას თამამად გაუყვა, თუმცა ფეხი ახალადგმული ჰქონდა და ხშირად ნაბიჯი ისე ერეოდა, სუნსული ოთხით ფორთხვაში გადასდიოდა. ცნობისმოყვარეობა მაინც თავისას შვრებოდა – წრუწუნა წარბშეუხრელად მიიწევდა წინ.



სულ მალე გზაზე მახათი შემოხვდა. აქამდე წრუწუნას სოროს ბინადრების გარდა არავინ ენახა, ამიტომ მახათი ხაფანგად მიიჩნია და იმწამსვე მასთან შესაბმელად მოემზადა. დაშნა შემართა, ფარი ტანთან ახლოს მიიზიდა და რომ არ ხუმრობდა, ამის დასტურად ომახიანად დაიწრიპინა.

– ეი, შენ, სდექ! ახლავე შეჩერდი! გეყო თაგვების დაწიოკება. ახლა კი გასწავლი ჭკუას!

მახათმა წრუწუნას ბაქიბუქი არაფრად ჩააგდო.

– ჯერ წადი, ცხვირი მოიხოცე, მერე ულვაშზე რძე შეიშრე, მე კი გზიდან ჩამომეცალე – საბანი მაქვს შესაკერი და მაცადე! – უკმეხად მიახალა და კოჭის ძაფთან ერთად თავის გზას გაჰყვა.

როგორც კი ეს თვალს მიეფარა, ლურსმანი გამოჩნდა და...

– ეი, შენ, სდექ! – წრუწუნა ისევ აწრიპინდა.

– ეგ ოინბაზობა სხვისთვის შეინახე. მე სურათი მაქვს ჩამოსაკიდი, ჩაქუჩი მეძახის და ჩამომეცალე! – შეუღრინა ლურსმანმა და იქაურობას ხტუნვა-ხტუნვით გაეცალა.

ახლა მაკრატელი გამოჩნდა, სულ კრიჭინ-კრიჭინით მოუყვებოდა გზას.

– შენ ხარ ხაფანგი? გამოტყდი ჩქარა! გგონია, თაგვების დაწიოკება ასე ადვილად შეგრჩება? არა! – ახლა მაკრატელს დაედევნა თაგუნა.

– ბედი შენი, რომ ქსოვილები მელოდებიან, თორემ მაგ გრძელ ენას დამოკლება არ აწყენდა! – წაიბუზღუნა მაკრატელმა და წამით არ შეჩერებულა, ისე განაგრძო გზა.

დაღონდა წრუწუნა.

– ეეჰ... სულ ტყუილად ვიწვალე, ხაფანგს მაინც ვერ მივაგენი, – მძიმედ ამოიოხრა და სულის მოსათქმელად იქვე, ფიცარზე ჩამოჯდა. ცხვირში მაშინვე საამო სურნელმა შეუღიტინა.

– რაო, წრუწუნა, ხომ არ მოგშივდა? სიქაგამოლეულს დაბრაწული ნიგოზი გეამება? მოდი, რაღას უცდი... მოდი და შეჭამე, – ზურგს უკნიდან ტკბილი ხმით ეპატიჟებოდნენ.

წრუწუნასაც მეტი რა უნდოდა: თათები მადიანად მოიფშვნიტა და ხმას მიჰყვა. მხოლოდ ფიცარზე ასულს გაახსენდა თავის დაშნა – მთელი დღეა ტყუილად დავათრევ და ნიგვზის ასაღებად ხომ მაინც გამომადგებაო.

წრუწუნამ წნელი დაბრაწული ლებნისკენ წაიღო და აი, როგორც კი ნიგოზი შეირხა, ხაფანგიც აიშალა. იმის საშინელ ჭახანზე წრუწუნა ისე დაფრთხა, გულგადაბრუნებული პირველივე ღრიჭოში ჩაძვრა. აუუ... ახლაც მახსოვს, შიშისგან რამხელა თვალები გაუხდა, დედას გეფიცებით, ჭოტს შეშურდებოდა!

– იცინე, იცინე, მაგრამ ესეც იცოდე: მე თუ ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო ლამის თავი დავკარგე, შენ შენმა სიხარბემ შეგარცხვინა! – ცხოველებს უკეთ რომ დაენახათ, თაგვი კუნძზე ახტა და სანამ ამბის მოყოლას დაიწყებდა, შავი ულვაში თითით აიპრიხა, მაგრამ უცებ მთქნარება აუტყდა, მერე თვალები დაუმძიმდა და...

ხარბ დათუნიაზე ამბის მოყოლა შემდეგი შეკრებისთვის გადაიდო.

მხატვარი
მარიამ დავითაშვილი

ნიტა ღა

ნიკოლოზი

ნიკოლოზ ბაღდაგაძეები

ნიკა

ბავშვთა შემოქმედება

ნიკა ნოზაძე,
8 წლის

ფანდური, ჩონგური და ცოტამური



იყო ერთი ფანდური. ის სულ მარტო მღეროდა. ერთხელაც მოსწყინდა მარტო ყოფნა და მეგობრების საპოვნელად წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ჩონგური შემოხვდა. ისიც ამ დღეში იყო, მეგობარს ეძებდა. ფანდურმა შესთავაზა, მოდი, ერთად დავუკრათ, მაჩვენე, აბა, შენი ხმაო.

ისინი ყველას აოცებდნენ, მაგრამ თავიანთ თავში საოცარს ვერაფერს ხედავდნენ. ზოგი გუნდი მათ სჯობნიდა და ესეც ანაღვლებდათ. ერთხელაც დიდი შეჯიბრის ჩატარების დრო დადგა, სადაც გამარჯვებულ გუნდს დააჯილდოვებდნენ. ფანდურმა და ჩონგურმა მომზადება დაიწყეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ კიდევ ერთი მეგობარი სჭირდებოდათ და მის საძებნელად წავიდნენ.

ბოლოს სალამურს მიაგნეს და ჰკითხეს:

– გინდა ჩვენს გუნდში შემოსვლა?

სალამურმა უპასუხა:

– კი, მინდა. თქვენს გუნდზე ბევრი კარგი რამ მსმენია.

დადგა შეჯიბრის დღეც. დაიწყო კონკურსი. ყველა იქ იყო. ყველა მღეროდა, მაგრამ ფანდურის, ჩონგურის და სალამურის ხმას ვერც ერთი შეედრებოდა.

ჩვენმა სამმა გმირმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

ნახატები
ბექა ჩხენკელისა

გრიგოლ ფერაძე,
5 წლის

თინიკო გოგიჩაშვილი

ვინ წაქარცვა საჩუქარი?

ჩამოთოვა... თეკლეს ბაღი
გადაფარა თოვლის ფიფქმა.
„დღეს საჩუქარს ვუძღვნი დედას“, –
წკიპპ თეკლემ გაიფიქრა.

ჭრელაჭრელა ქაღალდებით
გააკეთა კოხტა ყუთი,
ციმციმ ბაღში გაიტანა
კმაყოფილმა ბაკიბუკით.

„რა ლამაზი ფიფქებია,
აფსუსია, ისე გაქრეს,
ერთად ყუთში თავმოყრილი
ჩემს დედიკოს გაახარებს.“

ნაშუადღევს მზე მობრძანდა,
გარეთ თოვამ გადაიღო,
თეკლეს ყუთშიც ჩაიჭყიტა
მზემ, ნებართვა არც აიღო.

მოლოდინით მორბის თეკლე,
სავსე ყუთის ნახვა უნდა,
შიგ ფიფქები რომ არ დახვდა
გაბრაზებით აწუწუნდა:

„ამ ჩემს ყუთში წყალს რა უნდა
ან ფიფქები სადღა არის?!
აშკარაა, თოვლის პაპამ
მე წამართვა საჩუქარი!“

მარიამ წიკლაური

ბაქმარი

ცას ღრუბლები დაუმძიმდა,
ტყეს და მინდვრებს ათოვს, ათოვს.
ჟივჟივებენ ბელურები.
– ვის ელიან?
– სახლის პატრონს.
– გვშია, გვშია, გვცივა, გვცივა!
მზე არსად ჩანს, ათოვს ბუდეს,
საკენკს უყრის ბიჭი ჩიტებს,
მარცვლით ივსებს ციცქნა მუჭებს.
მერე მიდის სათამაშოდ,
მიაქვს თავის კოხტა ციგა.
რა კარგია, როცა თოვს და
ფანტელები ცვივა ციდან.

ქუდი

– მუხა, მუხა,
რატომ სწუხარ,
სუსხმა ხომ არ შეგაწუხა?
მალე მოვა გაზაფხული,
ისმის მისი თბილი სუნთქვა.
ამოძვერით თოვლიდანო,
მზემ ყვავილებს ასე უთხრა.

მხატვარი
ელენე ვარამაშვილი

ევა ბილლოუ

როგორ შეუკერეს ზღარბებს წაღები ზამთრისათვის

(შვედური ზღაპარი)

ერთი ტბის პირას ზღარბების ოჯახი ცხოვრობდა.

ზღარბებს ათი შვილი ჰყავდათ. ძლიერ უჭირდათ შვილების მოვლა საცოდავ მშობლებს. ათი ბავშვი და ისიც, სულ ბიჭები – ეს მართლაც მეტისმეტი იყო!

დედა ზღარბი დილიდან საღამომდე დაფუსფუსებდა, მამა ზღარბიც შველოდა საქმეში, მაგრამ უფრო ხშირად სხვა კაცებივით იჯდა და გაზეთს კითხულობდა. დედა ზღარბი კი მთელ დღეს შვილების ეკლიანი ქურქებისა და მათი ცინგლიანი ცხვირების წმენდას უნდებოდა.

ზაფხულში ცხელოდა და ზღარბები ფეხშიშველა დარბოდნენ. შემოდგომამ ნამი და სიცივე მოიტანა და ზღარბებსაც უსველდებოდათ შიშველი ფეხები. ისე დღე არ გავიდოდა, რომელიმე მათგანს სურდო-ხველა არ დამართოდა. დედა ზღარბი ბავშვებს ანწლის ჩაის უდუღებდა და პიტნის კვერებს უცხობდა.



– არა, ზამთარში ბიჭები უწაღებოდ ვერ გაძლებენ, – გადაწყვიტა დედა ზღარბმა, – მაგრამ რამდენი წაღა უნდა შევუკვეთო მეწაღეს, თუ თითოს ოთხი თათი აქვს?

საგონებელში ჩავარდა დედა ზღარბი, სიპ ქვაზე ჩამოწერა თავისი ბაჭიების სახელები: ნიკე, ტიკე, პიგე, ტაგე, ვიკე, მიუკე, კოტე, კნიუტე, პიუტე და ლუკენტიუსი.

ბოლოს იანგარიშა, რომ სულ ორმოცი წაღა დასჭირდებოდათ.

– პირდაპირ ოჯახის დაქცევაა! – შეიცხადა დედა ზღარბმა. ამოიღო სკივრიდან საწაღე ტყავი და მეწაღე კურდღელს მიადგა კარზე:

– კურდღელო-ყურცქვიტა, ამ ტყავისაგან ჩემი ბიჭებისთვის ორმოც წაღას ვერ გამოიყვან?

მეწაღე-ყურცქვიტა შეჰპირდა და მეორე დღეს, საღამოს, თვითონვე მიუტანა დედა ზღარბს შეკერილი საპირეები.

– მაპატიე, ჩემო ძვირფასო, მაგრამ შენი მოტანილი ტყავიდან მხოლოდ ოცი წაღის საპირე გამოვიდა, ზუსტად თითო წყვილი თითოს. შენს ბიჭებს უკანა ფეხებზე სიარულის სწავლა დასჭირდებათ! – უთხრა დაღონებულმა მეწაღემ.

დედა ზღარბმა მადლობა გადაუხადა მეწაღე-ყურცქვიტას და ხეკაკუნა-კოდალასკენ გაეშურა.

– კოდალავ, ჩემო კარგო, არ შეგიძლია ამ ათი წყვილი საპირედან ოცი წყვილი წაღა გამოიყვანო ჩემი ბიჭებისთვის?

კოდალამ დიდხანს არ ახვეწნინა დედა ზღარბს და ხეზე გრძელი ნისკარტის კაკუნით მიუგო:

– ამაზე როგორ დაგზარდები, საღამოზე გამოიარე.

მაგრამ საღამოს დედა ზღარბი წაღების წამოსაღებად რომ მივიდა, გამოირკვა, რომ კოდალას ათი წყვილი წაღის შესაკერად



თურმე ძაფი არ ეყო, ამიტომ მხოლოდ ნახევარი დაამზადა – სულ ათი წაღა!

– საქმე ვერ არის რიგზე, არც გასანთლული ძაფი მაქვს და კიდევ ბევრი რამ მაკლია, – დაიწყო წუწუნი ხეკაკუნა-კოდალამ, – მაგრამ ნუ გაცხარდები, ჩემო ძვირფასო, ათი ბიჭი და ათი წაღა პირდაპირ ზედგამოჭრილია!

დედა ზღარბი ძლიერ დააღონა ამ ამბავმა:

– განა თითო ზღარბს თითო წაღა ეყოფა? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემმა ბიჭებმა ცალ ფეხზე ასკინკილით სიარული ისწავლონ, – ვიშვიშებდა დედა ზღარბი.

ახლა წაღების გაქონვა იყო საჭირო, წყალი რომ არ შესვლოდათ ფეხებში და დედა ზღარბიც წავისკენ გაეშურა ტბაზე. წავმა, თითქოს განგებ, მაშინ ამოყვინთა წყლიდან, როცა დედა ზღარბი მიადგა ნაპირს.

– რით შემიძლია, გემსახუროთ, გეთაყვა? – ჰკითხა დედა ზღარბს.

დედა ზღარბმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო და წავმაც დაიტოვა წაღები გასაქონად. მაგრამ, დედა ზღარბი მეორე დღეს წაღების წამოსაღებად რომ მივიდა, გამოირკვა, რომ წავს თურმე წაღების ნახევარი წყალში ჩასვივნია!

– გულს ნუ გაიტეხ, გეთაყვა, – უთხრა წავმა დედა ზღარბს, – ხუთ წაღას მაინც გიბრუნებ უკან და შენმა ბიჭებმა რიგრიგობით ისეირნონ!

მადლობის მეტი რა ეთქმოდა დედა ზღარბს ასეთი რჩევისთვის! მივიდა შინ, შემოისხა ბიჭები გარშემო და უთხრა:

– აბა, შვილებო, მოიფიქრეთ, როგორ გაგინაწილოთ ხუთი წაღა?

ბიჭებმა მაშინვე დაიწყეს ფიქრი. ხუმრობა ხომ არ იყო, ხუთი წაღა ათისთვის უნდა გაენაწილებინათ, როცა თითოს ოთხი თათი აქვს, ყველას ერთად კი – ორმოცი!

– იქნებ კნიუტეს ორ თათზე ჩავაცვათ, ხოლო პიგეს კი სამ თათზე. ორი და სამი ზუსტად ხუთია. ან იქნებ კოტეს ოთხივე თათზე ჩავაცვათ და ერთი თათიც პიუტესი მივუმატოთ. ოთხი და ერთი ხომ ხუთია!

რას აღარ იგონებდნენ ზღარბები! ირგვლივ ისეთი ღრიანცელი იდგა, რომ მალე ყველას თავი ასტკივდა.

– ძილის დროა, ყმაწვილებო, ხვალ დასვენებული გონებით უკეთ იფიქრებთ, – ურჩია მამამ შვილებს.

ზღარბებმა ერთმანეთს ძილი ნებისა უსურვეს და ჩაიძინეს. ისე მაგრად დაეძინათ, რომ ვერც მეორე დღეს გაიღვიძეს, ვერც ერთი კვირის შემდეგ და ვერც ერთი თვის შემდეგ. სოროში მხოლოდ გაბმული ხვრინვა ისმოდა. ცხოველები საგონებელში ჩაცვივდნენ, ვერავინ ხვდებოდა, რაში იყო საქმე.

აბა, შენ თუ მიხვდები?

საქმე ისაა, რომ ზღარბებს მთელი ზამთარი სძინავთ და გაზაფხულამდე არ იღვიძებენ. ამიტომ ზამთრისთვის წაღები სულაც არ სჭირდებათ! გაზაფხულზე ისევ ფეხშიშველები ისეირნებენ. დედა ზღარბს კი სულ გადაავიწყდა, რომ ზამთრობით ზღარბები გრძელ ძილს მიეცემიან ხოლმე.

თარგმნა **თ. ქურდოვანიძემ**



მხატვარი
ვაჟა მელიქიშვილი

ანა ქართველი
ანასტასია ქართველი

ზაზუნა და მისი მეგობრები

ზაზუნამ სახლი აიშენა, ზამთარში თბილად რომ ყოფილიყო, ბუხარიც ამოიყვანა – აღარ ეშინოდა სუსხისა და სიცივის. ხშირად მიდიოდნენ მის მყუდრო სახლში მეგობრები – წიწილა, კნუტი და გოჭუნია – ერთად ისხდნენ ბუხართან, თბებოდნენ და მხიარულ ამბებს იხსენებდნენ.

ზაზუნას მეზობლად ერთი შავი ხოჭო ცხოვრობდა. არავის ემეგობრებოდა, სტუმარმასპინძლობა არ უყვარდა, იჯდა მთელ დღეს სახლში და ბუზღუნებდა.

ერთ დღესაც ზაზუნა მეგობრებთან ერთად ტყეში შეშის მოსატანად მიმავალი დაინახა, გაიფიქრა, ვიდრე სახლში არ არიან, ჩავუყრი ჯოხებსა და თივას საკვამურში, ვეღარ დაანთებენ ცეცხლს, ვეღარ გათბებიან და ვეღარც იმხიარულებენო.

მეგობრები თვალს რომ მიეფარნენ, ხოჭომ ზაზუნას სახლს კიბე მიადგა, აძვრა სახურავზე და საკვამური ჯოხებითა და თივით ამოუვსო. დაიღალა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა შინ. ფანჯარას მიუჯდა და ლოდინი დაიწყო. მალე უკან მობრუნებული მეგობრების მხიარული სიმღერა შემოესმა – მთელი ურიკა შეშა შეეგროვებინათ და ახლა შინისკენ მოიჩქაროდნენ.

– ახლავე ცეცხლს გავაჩაღებ და ყველანი გავთბებით, – შესძახა ზაზუნამ.

დიდხანს ცდილობდა მასპინძელი ცეცხლის დანთებას, მაგრამ ამაოდ. იქვე, ფანჯარასთან ბეღურა შენიშნა

– ბეღურა, ბეღურა, აფრინდი, ერთი, სახურავზე და ნახე, საკვამური თუა წესრიგში, თორემ ცეცხლი ვერაფრით დამინთია.

აფრინდა ბეღურა სახურავზე და ხედავს, საკვამური ამოვსებულია.

– ვერ დაანთებ ცეცხლს, შენი საკვამური ჯოხებითა და თივით არის სავსე, – უთხრა ბეღურამ. მეგობრები ერთად ავიდნენ სახურავზე საკვამურის გასაწმენდად. გოჭმა მხიარული სიმღერა წამოიწყო – ასე ხომ უფრო ადვილი და სახალისოა შრომა. საღამოსთვის ძლივს დაამთავრეს საქმე. ააგუზგუზეს ცეცხლი, გაათბეს სახლი, ბეღურა მოიპატიჟეს, სხედან ბუხართან, ცხელ ჩაის მირთმევენ და მხიარულ ამბებს ჰყვებიან.

უფრო მეტად დაიბოღმა ხოჭო. იმ დღიდან სახლიდან გამოსვლისა ეშინოდა, ბეღურამ არ დამინახოს და არ ჩამინისკარტოსო, მერე კი სულაც გადაიხვეწა სოფლიდან.



მხატვარი
ლიკა გურგენიშვილი

ჰეინდი მატიანეები

იცცორრიის უბედური მცირდენ

ამოხსენი
მაგალითები,
პასუხები
მიმდევრობით
გადაიტანე
მწვანე უჯრებში
და გაიგებ,
როდის მოხდა
შამქორის
ბრძოლა.

შეადგინა
ნინი ორველმა

იპოვეთ დამალული საგნები

რომელი ფრაქგმენტი არ ჩანს დიდ სურათზე?



მხატვარი ნატალია კუცია

ჟურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიჭა არამატერიალური
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

ISSN 0132-5965

ნახატი ყდაზე: გიორგი ჩაჩანიძისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
http://www.dila.ge, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com,**
facebook: **საბავშვო გამომცემლობა დილა**
ფასი: 2.50 ლარი

ეროვნული სასლი

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.